

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 24 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

• ხარლამპიევი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №29648/03

აპლიკანტი კირილ ხარლამპიევი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1970 წელს და ცხოვრობს მანასტირიტეში, კოზლოდუის მუნიციპალიტეტში (ბულგარეთი). კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ იგი გაასამართლეს მისი თანდასწრების გარეშე და მიუსაჯეს პატიმრობა ქურდობისა და ციხიდან გაქცევის გამო. იგი ასევე ჩივის, რომ მას არ მიეცა ხელახალი სასამართლოს შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

• ილია პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №19202/03

აპლიკანტი ილია პეტროვი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1984 წელს და ცხოვრობს ვარნაში. 11 წლის ასაკში იგი მძიმედ დაზიანდა ელექტრო ქვესადგურის ტერიტორიაზე დაუცველი ელექტრო გაყვანილობის მიზეზით მიყენებული ჭრილობების გამო. მის სხეულში გაიარა დაახლოებით 20 000 ვოლტის ელექტრო ძაბვამ, თმაზე ცეცხლი გაუჩნდა და ჩავარდა კომაში. მას ჩაუტარდა თავის ქალაზე კანის იმპლანტანტის გადანერგვის ოპერაცია და შემდგომი დაზიანებების გამო დაინვალიდა. ბულგარეთის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სახელმწიფო ელექტროდისტრიბუციის კომპანიის მთავარი ტექნიკოსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქვესადგურის ტერიტორიის უსაფრთხოებაზე, არ იყო ვალდებული უზრუნველყო ქვესადგურის უსაფრთხოება, რადგან ეს უკანასკნელი არ ეკუთვნოდა სახელმწიფო კომპანიას. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ბულგარეთის სახელმწიფოს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მისთვის მიყენებული უმძიმესი ტრამვის გამო და აღნიშნავს, რომ სამართლებრივი რეაგირება ამის თაობაზე არაადეკვატური იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• სრაისტეანუ და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი №4834/06

აპლიკანტები არიან მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეები. გეორგე სტრაისტეანუ არის კარგად ცნობილი ბიზნესმენი და პარლამენტის ყოფილი წევრი; და ნატალია და დანიელა სტრაისტეანუები, მოლდოვაში დაფუძნებული კომპანია „კოდრანა-ლუქსის“ მფლობელები. სტრასბურგის სასამართლომ 2009 წლის 7 აპრილის ძირითად განჩინებაში დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი, ხელისუფლების მიერ განმცხადებლების შესყიდვებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების არენდის ანულირების გამო. დღევანდელი განჩინება ეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, რაც კონვენციის 41-ე მხლითაა გათვალისწინებული.

სასამართლომ მეორე განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 2000 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის, ხოლო 3000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად; მესამე განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს

დაეკისრა 19.000 ევროს გადახდა მატერიალური, ხოლო 3000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• **S.C. Granitul S.A. რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №22022/03**

განმცხადებელი რუმინული კომპანიაა. 2011 წლის 22 მარტის განჩინებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი, რადგან სახელმწიფომ მითვისა აპლიკანტი ორგანიზაციის კუთვნილი მიწა ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე. დღევანდელი განჩინება ეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, რაც რეგულირდება კონვენციის 41-ე მუხლით.

განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 500.000 ევროს გადახდა მატერიალური ზარალის დასაფარად.

• **ჩუმაკოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №41794/04**

აპლიკანტი ვლადიმირ ჩუმაკოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1979 წელს და ცხოვრობს პიატიგორსკში. ბატონი ჩუმაკოვი აცხადებს, რომ 2002 წლის ოქტომბერში ხულიგნობის გამო 5-დღიანი პატიმრობისას, პოლიციის ოფიცრებმა იგი სცემეს და ემუქრებოდნენ პოლიციელის ხელკეტით გაუპატიურებით, რათა მას ეღიარებინა მკვლელობა. აღნიშნული აღიარების შემდეგ იგი მოათავსეს საპატიმროში 2005 წლის დეკემბრამდე, ვიდრე გაათავისუფლებდნენ, რასაც წინ უსწრებდა ოთხეტიანი სისხლისსამართლებრივი განხილვები მის წინააღმდეგ. საბოლოოდ იგი გაამართლეს 2006 წლის მაისში იმ საფუძველით, რომ მან აღიარებას იძულებით მოაწერა ხელი. იგი ასევე ჩივის მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის გამო დაწერილი საჩივრების არაეფექტური გამოძიების თაობაზე, ისევე როგორც უკანონო პატიმრობაზე. განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის I და III ნაწილების დარღვევაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი მოპყრობასთან დაკავშირებით; დაირღვა მე-3 მუხლი გამოძიების ნაწილში; დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და III ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 20.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• **მედვედევი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №34184/03**

აპლიკანტი გენადი მედვედევი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1960 წელს და ამჟამად 17-წლიან სასჯელს იხდის მკვლელობის, გატაცების და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობის გამო. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის სააპელაციო სასამართლოში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ განხილვის თაობაზე. განსაკუთრებით განმცხადებელი მიუთითებს, რომ იგი არ იყო წარმოდგენილი, ან უზრუნველყოფილი ადვოკატით პირველი მოსმენისას; სახაზინო ადვოკატი მეორე და საბოლოო მოსმენისას არაეფექტურ დახმარებას უწევდა არ ესწრებოდა; მეორე და საბოლოო განხილვებში მისი მონაწილეობისათვის ვიდუოკავშირი არ იყო უზრუნველყოფილი და რომ სახაზინო ადვოკატისათვის დანიშნული ანაზღაურება ზომაზე მეტი იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები.

- **სიბგატულინი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №1413/05**

აპლიკანტი დამირ სიბგატულინი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ამჟამად 18-წლიან სასჯელს იხდის შრომა-გასწორების კოლონიაში, მოხუცი ქალბატონის დაყაჩაღებისა და მკვლელობის გამო, რომელიც უზბეკეთში ჩაიდინა. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა დაპირისპირებოდა ბრალდების მხარის მოწმეებს დაკითხვისას, რადგან ისინი ცხოვრობდნენ უზბეკეთში. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს მოწმეთა ჩვენებების ასლები, რომლებიც სტარსბურგის სასამართლოს მიერ იყო მოთხოვნილი განსახილველად.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები და 38-ე მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **სოლოვიოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №918/02**

აპლიკანტები მიხაილ და ვლადიმირ სოლოვიოვები რუსეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1977 და 1957 წლებში და ცხოვრობენ სვერდლოვსკის რეგიონში. 2000 წლის ოქტომბერში ორივე განმცხადებელი დააპატიმრეს პირის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გამო; ვლადიმირ სოლოვიოვს ასევე ბრალი დაედო სხეულის დაზიანებების მიყენებისთვის, რაშიც საბოლოოდ ბრალდებულად სცნო სასამართლომ და 2003 წლის ივლისში ერთწლიანი პატიმრობა მიესაჯა. მიხაილ სოლოვიოვი 2001 წლის ივნისში გამოვიდა ციხიდან და მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვები საბოლოოდ შეწყდა 2003 წლის ივნისში. კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილზე დაყრდნობით ორივე განმცხადებელი ჩივის, რომ ისინი არ იყვნენ წარმოდგენილები სასამართლოზე ადვოკატით, განსაკუთრებით იმ განხილვებისას, რომლებიც 2000 წლის ოქტომბერში გაიმართა და მათი პატიმრობაში ყოფნის საკითხს ეხებოდა. განმცხადებლები ასევე ჩივიან კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევის თაობაზე. ვლადიმირ სოლოვიოვი ასევე ჩივის კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის IV ნაწილი და მე-6 მუხლის I ნაწილი. პირველი განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 5.000 ევროს გადახდა, ხოლო მეორე აპლიკანტის სასარგებლოდ 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **ჰიდირ დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №26291/05**

აპლიკანტი ჰიდირ დურმაზი თურქეთის მოქალაქეა. 2011 წლის 12 ივლისის განჩინებით სტარსბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა აპლიკანტის პატიმრობიდან გათავისუფლების 10 დღით გადადების გამო. აპლიკანტის წარმომადგენელმა მოითხოვა განჩინების გადასინჯვა, რომელიც არ შეიძლებოდა აღსრულებულიყო იმის გამო, რომ მისი კლიენტი გარდაიცვალა განჩინების მიღებამდე. ადვოკატმა მოითხოვა, რომ თანხა, რომელიც სასამართლომ ბატონ დურმაზს მიაკუთვნა, უნდა გადასცემოდა მის მემკვიდრეებს. დღევანდელი განჩინებით სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა და აპლიკანტის მემკვიდრეებს მიაკუთვნა 9.000 ევრო არამატერიალური ანაზღაურების სახით და 2.000 ევროს ხარჯების დასაფარად.

გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე

- *პეტროვა ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №19532/05*
- *დე ლესო იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №34383/02*
- *მეცაპეზა და პლატი იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №37197/03*
- *პელიჩინი და სხვები იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №50951*
- *მეჰმეთ ნური ჩაკანი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23139/07*

წარმოდგენილ განაცხადებში აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ მათი საქმეების გაჭიანურებით განხილვისას დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებულ ყველა საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო საქმეებზე პეტროვა ბულგარეთის წინააღმდეგ და მეჰმეთ ნური ჩაკანი თურქეთის წინააღმდეგ ასევე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.